# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა

## პოლიტიკის დოკუმენტი

**2023**

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მიერ, ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

**ავტორი:** ანა აბაშიძე

**რედაქტორი:** ნინო ბექიშვილი

## სარჩევი

**შესავალი** ..... 3

**მისაწვდომობის სტანდარტი** ..... 4

**ფიზიკური მისაწვდომობა** ..... 5

კანონმდებლობაზე მისაწვდომობა ..... 5
ინფორმაციაზე მისაწვდომობა ..... 7
პროცედურული მისადაგება ..... 9
საჩივრების ადაპტირებული ფორმები ..... 10
შეჯამება და რეკომენდაციები ..... 11

## შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები და გოგოები, რომლებიც დარღვეული უფლების აღდგენისთვის იბრძვიან, აწყდებიან კომპლექსურ წინააღმდეგობებს, რომელიც იქმნება უსამართლო კანონმდებლობით, მმართველობის სისტემით და სტერეოტიპებით. ეფექტური მისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სახელმწიფოში შშმ პირების,

განსაკუთრებით კი, ქალების და გოგოების უფლებები იყოს გარანტირებული, პატივცემული და მხარდაჭერილი.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ძირითადი და აუცილებელი ინფორმაცია, საქართველოში არსებული ბარიერების შესახებ, რომლებიც რიყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და განსაკუთრებით, ქალებს მართლმსაჯულების სისტემიდან, აგრეთვე შემოთავაზებული რეკომენდაციებით დაეხმაროს როგორც მათ, ასევე სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს სისტემური ცვლილებების გატარებაში.

**შინაარსი**


- *მისაწვდომობის სტანდარტი*
- *ფიზიკური მისაწვდომობა*
- *კანონმდებლობაზე წვდომა*
- *ინფორმაციაზე წვდომა*
- *პროცედურული მისადაგება*
- *კომუნიკაციის მისაწვდომობა*
- *საჩივრების ადაპტირებული ფორმები*
- *დასკვნა და რეკომენდაციები*


## მისაწვდომობის სტანდარტი

2006 წელს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ პირი) უფლებების კომიტეტმა განავრცო მანამდე არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები (მათ შორის, ევროპული რეგიონული დოკუმენტები) მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ. კომიტეტმა დააზუსტა შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება, განსაკუთრებით კი, სისხლის სამართლის სფეროში. გაეროს შშმ პირთა კონვენციაში (UNCRPD) მართლმსაჯულების მისაწვდომობის თემას ეხება რამდენიმე მუხლი. მუხლი 13 – მართლმსაჯულების უფლება; მუხლი 5 – თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; მუხლი 9 - მისაწვდომობა; მუხლი 12 – კანონის წინაშე თანასწორობა; მუხლი 21 – გამოხატვის თავისუფლება.

**მართლმსაჯულების მისაწვდომობა - UN CRPD, მუხლი 13**

*მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ეფექტურ მისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომელიც ხელს უწყობს მათ მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ეფექტურად განხორციელებას,*

*მათ შორის, მოწმის სახით, იურიდიული პროცედურების ყველა საფეხურზე, გამოძიებისა და საქმეთა წარმოების სხვა საწყისი საფეხურების ჩათვლით.*

*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ სამართლის ადმინისტრირების სფეროში მომუშავე, მათ შორის პოლიციისა და ციხის პერსონალის შესაბამის განათლებას.*

საქართველოში, საბაზისო საკანონმდებლო რეგულაციების არსებობის მიუხედავად[1], კვლავ გამოწვევად რჩება კონსტიტუციური უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობა ადამიანებისთვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის. მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა ყველა ადამიანისთვის უფლებების დაცვის მთავარი მექანიზმია. ყველა სხვა უფლება ილუზორულ დათქმად გადაიქცევა, თუ ადამიანს შეეზღუდება მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა ან არსებითად შეუძლებელი გახდება ბარიერების გამო. მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მრავალფეროვანი დამხმარე საშუალებების შექმნას მის აღსასრულებლად. მართლმსაჯულების უფლება თავისთავად ვერ განხორციელდება, თუ სახელმწიფო საკუთარ ვალდებულებებს არ შეასრულებს უფლების რეალიზებისთვის.

## ფიზიკური მისაწვდომობა

ფიზიკური მისაწვდომობა მართლმსაჯულების არქიტექტურულ ასპექტს უსვამს ხაზს. ამაში მოიაზრება სასამართლოს, საგამოძიებო ორგანოების შენობები, ექსპერტიზის ბიუროები და ასევე, იურიდიული მხარდაჭერის ცენტრები, ანუ შენობები, სადაც მართლმსაჯულება ხორციელდება. ამ შენობების დიდი უმეტესობა პრაქტიკულად მიუწვდომელია საქართველოში.

კვლევის თანახმად[2], საქართველოში პრაქტიკულად არც ერთი სასამართლო შენობა არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტებს, მათი უმეტესი ნაწილი კი სრულიად გამოუსადეგარია შშმ პირისთვის, რომელიც მოიხმარს ეტლს ან ფლობს სენსორულ შეზღუდულ შესაძლებლობას. ვალდებულება შენობების მისაწვდომობის მომდინარეობს შშმ პირთა კონვენციის ზოგადი მისაწვდომობის (მუხლი 9) და მართლმსაჯულებისადმი მისაწვდომობის (მუხლი 13) ვალდებულებებიდან.

## კანონმდებლობაზე მისაწვდომობა

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებს საქართველოში არ ჰქონდათ უფლება მიემართათ სასამართლოსთვის დამოუკიდებლად. ამას ე.წ. „მეურვეობის სისტემა“ ერქვა,

---

[1] 2014 წელს საქართველო სრულად შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას (UN CRPD); 2021 წელს, საქართველოს პარლამენტმა კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა; 2020 წელს ძალაში შევიდა ახალი კანონი – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ექსპლიციტურად აღიარებს შშმ პირთა უფლებების დაცვის აუცილებლობას ქვეყანაში, მათ შორის მართლმსაჯულების სფეროში.

[2] სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, 2019 წ. ბოლო ნახვა 19.08.2023
https://rm.coe.int/evaluation-on-accessibility-to-court-buildings-for-persons-with-disabi/1680983927

რა დროსაც შშმ პირი არ აღიქმებოდა ადამიანად, რომელსაც შეეძლო საკუთარი უფლებების დაცვისთვის ემოქმედა. 2014 წელს აღნიშნული საკანონმდებლო შეზღუდვა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა და გაუქმდა დისკრიმინაციული ჩანაწერები.[3]

მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა კვლავ მოიცავს იმგვარ ჩანაწერებს, რომლებიც არსებითად გამორიცხავს შშმ პირებს მართლმსაჯულების პროცესიდან და არღვევს მათ ფუნდამენტურ უფლებებს. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების და სასამართლო განხილვების დროს ტარდება იძულებით ფსიქიატრიული ექსპერტიზა,[4] რაც სასამართლოს ნებართვას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დანიშვნას სჭირდება დასაბუთებული ვარაუდი შეურაცხადობის შესახებ, პრაქტიკაში, ექსპერტიზას პროკურორი ითხოვს თითქმის ავტომატიზებულად ყველა იმ საქმეზე, სადაც ბრალდებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ანუ პირის იძულებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზა (თავისუფლების შეზღუდვა) ხდება მხოლოდ მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ეს ჩანაწერი დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება როგორც გაეროს შშმ პირთა კონვენციას, ასევე საქართველოს კონსტიტუციას.

კიდევ ერთი პრობლემური მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერი[5], რომლის მიხედვითაც *„არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის პირი, რომელსაც შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები  და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება.“* ამ დროს შშმ პირის გამოცხადება ხდება „გამოუსადეგარ“ მოწმედ მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო. პროცესი არ ცნობს დამატებით პროცედურას, თუ როგორ უნდა დადგინდეს ზემოაღნიშნული წინაპირობები.  შშმ პირთა გაეროს კონვენცია[6] უზრუნველყოფს შშმ პირთა კანონის წინაშე თანასწორობას, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ინტელექტუალური და ფსიქო-სოციალურ შეზღუდვა აქვთ. მათ აქვს უფლება გაასაჩივრონ ან დაიცვან თავი და იყვნენ მხარეები პროცესებში, <u>გამოვიდნენ მოწმეებად, არ იყვნენ დისკრედიტირებულები ჩვენების მიცემის დროს შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე</u>.[7] ამავდროულად, მათ აქვთ უფლება ჰქონდეთ უზრუნველყოფილი ყველა აუცილებელი დამხმარე საშუალება იმისათვის, რომ ისარგებლონ უფლებებით მართლმსაჯულების სამართლიან პროცესში.[8]

ზოგიერთი ქვეყნის სამართლის სისტემებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ითვლებიან სამართლებრივ დავაში გამოუსადეგარ/შეუსაბამო/არაკომპეტენტურ პირებად (“unfit to stand trial”) ან გამოირიცხებიან ავტომატურად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო და პასუხისმგებლობის მაგივრად მათთან ინიშნება იძულებითი სამედიცინო და ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც, შესაძლებელია, განუსაზღვრელი ვადითაც გაგრძელდეს.[9] ამგვარ რეგულაციას

---

[3] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4/532,533, 2014

[4] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 180

[5] სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 50 (2) მუხლი.

[6] მუხლი 12; 13

[7] OHCHR thematic report on article 13, para 56.

[8] UNCRPD, art 12(3).

[9] See, for example, *Noble v. Australia*, (CRPD/C/16/D/7/2012), para. 8.7.

ცნობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. ამ დროს, იმის მაგივრად, რომ ჩატარდეს ყველა სამართლებრივი პროცედურა და სამართლიანი სასამართლოს მიერ მსჯავრი შეეფარდოს/გამართლდეს პირი, მას „უსჯიან უსაფრთხოების ზომებს" – კერძოდ, სასამართლო იყენებს იძულებით მკურნალობას გამო, რომ ის სავალდებულოდ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე აღიარეს „საშიშ" პირად საკუთარი თავის ან სხვებისთვის ისე, რომ სასამართლოს არ უმსჯელია ამ პირის მხირდან დანაშაულის ჩადენის შესახებ.[10] სასამართლოს ასეთი ბრძანება წარმოადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას, რადგან ის ემყარება პირის „საშიშად" მიჩნევას მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ვარაუდებით და წინასწარგანწყობებით.[11] ამ დროს სრულად იგნორირებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია შშმ პირისთვის. შშმ პირთა გაეროს კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს, გააუქმონ ამგვარი საკანონმდებლო ჩანაწერები და პრაქტიკა შშმ პირთა უფლებების დასაცავად.[12]

### ინფორმაციაზე მისაწვდომობა

შეუძლებელია რომელიმე ფუნდამენტური უფლებით თანასწორი და თავისუფალი სარგებლობა, თუ არ არის დაკმაყოფილებული ამ უფლებების რეალიზებისთვის მისაწვდომობის წინაპირობები. მაშინ, როცა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა მნიშვნელოვანია შშმ პირთათვის მართლმსაჯულების პროცესში ჩასართავად, ინფორმაციის მისაწვდომობა გადამწყვეტია მისაწვდომობის საკითხის საბაზისო ეტაპის დასაწყებად. ინფრასტრუქტურის მისაწვდომობა აზრს დაკარგავს, თუ შშმ პირი შეაღწევს სასურველ შენობაში, მაგრამ ვერ მიიღებს ინფორმაციას და ვერ დაამყარებს კონტაქტს იმის გამო, რომ ინფორმაციის გადაცემის და კომუნიკაციის მეთოდი არ არის მორგებული მის საჭიროებაზე.[13] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა ინფორმაციაზე ადეკვატური წვდომის გარანტიების შექმნა შშმ პირებისთვის, რის შედეგადაც ისინი შეძლებენ არსებითად ჩაერთონ ყველა სამართლებრივ პროცესში სასამართლოსა თუ სხვა მართლმსაჯულების განმახორციელებელ დაწესებულებაში.[14]

გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო აღნიშნულ საკითხზე, სადაც განმარტებულია, რომ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა ყველა ტიპის ინფორმაციაზე, რომელიც უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემას სრულად, პროცედურებს და უნდა შეეძლოთ სრულყოფილად მოიპოვონ ინფორმაცია მისაწვდომი ფორმების გამოყენებით. მაგალითად, მოთხოვნილი ინფორმაცია პირს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმატით. უსინათლო და მცირედმხედველ პირს ბრაილი ან აუდიო ვერსია,[15] ყრუ მოქალაქის შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემა ჟესტური ენის თარჯიმნის გამოყენებით და ფსიქო-სოციალური საჭიროების ან ინტელექტუალური

[10] See CRPD/C/BEL/CO/1, para. 27.
[11] See CRPD/C/CYP/CO/1, para. 38.
[12] See CRPD/C/PRT/CO/1, para. 33 (b).
[13] Committee 'General Comment No 2' (2014) Article 9: Accessibility.
[14] UNCRPD, arts 9 and 21.
[15] Thailand the Administrative Court provides an audio guide for persons with visual impairments. See Ministry of Social Development and Human Security, Information of the Department of Empowerment of Persons with Disabilities for the Office of the High Commissioner for Human Rights on Article 13 Access to Justice, Convention on the Rights of Persons with Disabilities (04 June 2017)

შეზღუდვის მქონე პირის შემთხვევაში მარტივი ენით გაცემული ინფორმაცია (ე. წ. Easy Read),[16] ან ვიდეო სახელმძღვანელო ადვილად გასაგები ფორმით[17]. სახელმწიფო ვალდებულია დააფინანსოს ეს სერვისები და გახადოს მისაწვდომი ყველგან. ამ თვალსაზრისით პოზიტიური მაგალითებია ამერიკის შეერთებული შტატები[18] და გერმანია[19] სადაც შშმ პირმა შეიძლება სასამართლოში მისაწვდომი ფორმით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, საქმის მასალები და სხვა.

კიდევ ერთი გზა ინფორმაციის მისაწვდომობისათვის არის კოგნიტიური თარჯიმნის არსებობა „cognitive interpreter", რომლის ფუნქციაც შშმ პირის დახმარებაა რთული ინფორმაცია მიიღოს მარტივი ახსნით.[20] ასევე შესაძლებელია არსებობდეს შშმ პირის „დამოუკიდებელი არაიურისტი დამცველი" (an 'independent non-legal advocate'), რომელიც, როგორც წესი, ინიშნება მართლმსაჯულების სისტემაში სახელმწიფოს მიერ შშმ პირისთვის მისაწვდომი ინფორმაციის უფლების აღსრულების მიზნით. „დამოუკიდებელი არაიურისტი დამცველი" აგრეთვე ეხმარება შშმ პირს, გამოხატოს აზრი და მოითხოვოს მისი უფლებების დაცვა.[21] გამოიყენება აგრეთვე „მხარდაჭერილი კომუნიკაციის" ფორმა 'facilitated communication'. ეს არის კომუნიკაციის გზა იმ პირისთვის, რომელიც იყენებს საკომუნიკაციო დაფას ან კლავიატურას კონკრეტული ადამიანის ფიზიკური, ემოციური ან ორივე დახმარებით.[22] არსებობს „ალტერნატიული კომუნიკაცია 'alternative and augmented communication' (AAC), ეს არის კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმის გაერთიანებული ტერმინი, რომელიც ბევრ სხვადასხვა მეთოდს მოიცავს, როგორიცაა: ჟესტიკულაცია (ეს არ არის ჟესტური ენა), საკომუნიკაციო დაფა, ხმის გამხმოვანებელი დამხმარე ტექნიკა, ვებგვერდებზე დაფუძნებული აპლიკაცია.[23]

ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ შშმ პირი შეიძლება იყოს მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი, მათთვის მისაწვდომობის უფლება აგრეთვე დაკავშირებულია პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობასთან. შშმ პირი შეიძლება იყოს ნაფიცი მსაჯული. ყველა ზემოაღნიშნული ბარიერები ხელშემშლელი პირობაა შშმ პირებისთვის ნებისმიერ როლში, რაც უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემას.[24]

---

[16] CRPD/C/DZA/CO/1, para 26; CRPD/C/MKD/CO/1, para 23; CRPD/C/ZAF/CO/1, para 24-25. In Peru, the Civil Procedural Code, amended in 2018, Article 847 establishes that sentences concerning supported decision-must be written in an easy-to-read format. In Spain a civil society group has collaborated with the court system to develop Easy to Read judicial summonses and sentences. See Plena inclusion, Response to the Questionnaire for a study on article 13 of the Convention on Rights of Persons with Disabilities from the Office of the High Commissioner of Human Rights (May 2017); Spain, Response to UN Special Rapporteur's Questionnaire on good practices to ensure effective access to justice for persons with disabilities (August 2019).

[17] Committee 'General Comment No 2'.

[18] In the Northern District of California (USA), document magnifiers are provided at the intake desks at clerk's offices to help visitors with visual impairments review documents. https://www.cand.uscourts.gov/access

[19] Section 191a of the Courts Constitution Act in Germany allows persons who are blind or visually impaired to demand court documents in an accessible format if this is necessary in order to safeguard their rights.

[20] Washington State Access to Justice Board 16.

[21] Flynn, Eilionóir, (2015), Disabled Justice?: Access to Justice and the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities. (Routledge, 2015) (hereafter Flynn, (2015), *Disabled Justice?)* 95.

[22] ibid 93.

[23] Flynn, (2015), Disabled Justice? 92.

[24] Ortoleva, *supra* note 7, at 303-05; Blanck et al., *supra* note 124, at 830-38; Pravda, *supra* note 131, at 942-50, 958-60. On barriers to the legal profession, see Alex B. Long, *Reasonable Accommodation as Professional Responsibility, Reasonable Accommodation as Professionalism*, 47 U.C. DAVIS L. REV. 1753 (2014).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია რეზიდენტული დაწესებულებები, პანსიონატებში მცხოვრები შშმ პირები აბსოლუტურად გარიყულები არიან სამართლებრივი პროცედურებისგან. ისინი მკაცრი „მეურვეობის“ და წესების ქვეშ ცხოვრობენ, როგორც წესი, არ აქვთ დამოუკიდებელი კავშირები საზოგადოებასთან და მარტო არიან დარჩენილები სამართლებრივი გასაჩივრების საკითხებთან. ეს განსაკუთრებით რთულია მაშინ, როცა მათ აქვთ დავები იმ დაწესებულებასთან, სადაც ცხოვრობენ.[25]

დღეის მდგომარეობით, მართლმსაჯულების პროცესში შესაძლებელია მხოლოდ ჟესტური და სხვა ენის თარჯიმნის მომსახურების მიღება. გარდა ამისა, პრაქტიკაში არ არიან პროფესიონალები, რომლებიც სხვა ზემოაღნიშნულ საკომუნიკაციო მხარდაჭერას გაუწევენ შშმ პირს. სასამართლოები და სხვა მართლმსაჯულების განმხილველი ორგანოები არ არიან აღჭურვილები თანამედროვე ტექნიკით, რომელიც შშმ პირს დაეხმარება ინფორმაციის მიღებაში პროცესის დროს. არ ხდება საქმის მასალების მიწოდება მისაწვდომი ფორმით და სხვა.

## პროცედურული მისადაგება

როდესაც შშმ პირი წარმოადგენს სამართლებრივი დავის მხარეს, მისთვის მხარეთა თანასწორობის მიღწევის აუცილებელი კომპონენტია პროცედურული მისადაგება (procedural accommodations). პროცედურული მისადაგება არის მისაწვდომობის მიღმა გასატარებელი ღონისძიება, ვინაიდან, ხშირად მხოლოდ სტანდარტული მისაწვდომობის ღონისძიებები არ არის საკმარისი ისეთი მნიშვნელოვანი უფლების განსახორციელებლად, როგორიც სამართლიანი სასამართლოს უფლებაა. პროცედურული მისადაგება არის ვალდებულება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს.[26] პროცედურული მისაწვდომობის მაგალითებია: *პირისთვის ინდივიდუალური დამხმარის დანიშვნა სასამართლო განხილვების დროს, კვალიფიციური ჟესტური ენის მცოდნე თარჯიმნის ყოლა,[27] ბრაილის გამოყენება ბეჭდური დოკუმენტების დროს[28], ადვილად საკითხავი დოკუმენტების მომზადება ინტელექტუალური შეზღუდვის ან ფსიქო-საჭიროებების მქონე პირებისთვის და სხვა.*[29]

პროცედურული მისადაგების ვალდებულების შეუსრულებლობა არის <u>დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების ნიადაგზე.</u> პროცედურების მისადაგების ვალდებულების შეუსრულებლობა მართლმსაჯულების მისაწვდომობის კონტექსტში დაუშვებელია გამართლდეს არაგონივრულობის არგუმენტით და მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება

---

[25] One possible solution for this issue is an ombudsman. *See* John J. Regan, *When Nursing Home Patients Complain: The Ombudsman or the Patient Advocate*, 65 GEO. L.J. 691 (1977); **Personhood and Civic Engagement by People with Disabilities: A Conference to Explore the Legal Underpinnings of Personhood and the Barriers to Participation by Persons with Disabilities in Civic and Social Life,** Sagit Mor, 2017, Yeshiva University, 13

[26] Human Rights Council, 'Right to access to justice under article 13 of the Convention on the Rights of Persons with Disabilities' (Report of the Office of the High Commissioner for Human Rights, 2017), para 25.

[27] CRPD/C/CUB/CO/1, para 28.

[28] CRPD/C/POL/CO/1, para 21-22; CRPD/C/ALB/CO/1, para 26; CRPD/C/SLV/CO/2-3, para 27; CRPD/C/VUT/CO/1, para 25; CRPD/C/ESP/CO/2-3, para 25; CRPD/C/SEN/CO/1, para 24; CRPD/C/NER/CO/1, para 21-22; CRPD/C/OMN/CO/1, para 27-28; CRPD/C/SAU/CO/1, para 24.

[29] CRPD/C/POL/CO/1, para 22; CRPD/C/ESP/CO/2-3, para 25.

ვალდებულების მატარებელ მხარეს (სახელმწიფოს).[30] პროცედურული მისაწვდომობის მოთხოვნის და მიღების პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური და ეს გარანტია უნდა იყოს საკანონმდებლო დონეზე. შშმ პირებს არ უნდა მოუწიოთ საკუთარი ჯანმრთელობის და შშმ სტატუსის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება მათი ნების საწინააღმდეგოდ.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს *პროცედურული მისადაგების* ტერმინს და შესაბამისად არ არის აღიარებული პროცედურულ მისადაგებაზე უარი, როგორც დისკრიმინაციის ფორმა. თუმცა, ცხადია, ამ უფლებით სარგებლობა გარანტირებულია გაეროს შშმ პირთა კონვენციის საფუძველზე საქართველოში.

## საჩივრების ადაპტირებული ფორმები

სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით საჩივრების და სარჩელების წარდგენის მექანიზმები უნდა იყოს მისაწვდომი ყველა შშმ პირისთვის. კვლევები მოწმობს, რომ შშმ პირებს განსაკუთრებით დიდი ბარიერები სისხლის სამართლის პროცესებში ხვდებათ. მაგალითად, როცა პოლიციას ატყობინებენ დანაშაულის შესახებ, როცა არიან გამოკითხვა/დაკითხვაზე როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოს წინაშეც.[31]

გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს, მისაწვდომი გახადონ ყველა გასაჩივრების მექანიზმი ან, შექმნან ახალი მექანიზმი, რომელიც გამოიძიებს და შეისწავლის შშმ პირთა უფლებების დარღვევებს და სამართლიანი მექანიზმებით აღადგენს დარღვეულ უფლებებს.[32] კომიტეტის მთავარი რეკომენდაციაა სათანადოდ იყოს გამოძიებული და დასჯილი შშმ ქალების და პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულები ხოლო უშუალოდ „დანაშაულის შეტყობინების და საჩივრების განხილვის მექანიზმები სრულად უნდა იყოს მისაწვდომი შშმ პირებისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის, გენდერულად მგრძნობიარე ფორმით. ასევე, გარანტირებული უნდა კონფიდენციალურობა“.[33]

---

[30] Lawson and E Flynn, 'Disability and Access to Justice in the European Union: Implications of the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities' (2013) 4 European Yearbook of Disability Law 7 at 25.

[31] See for example S J Modell and M Suzanna, 'A Preliminary Assessment of Police Officers' Knowledge and Perceptions of Persons with Disabilities' (2008) 46(3) Intellectual and Developmental Disabilities 183; J R Petersilia, 'Crime Victims with Developmental Disabilities A Review Essay' (2001) 28(6) Criminal Justice and Behaviour 655; J McBrien and G Murphy, 'Police and Carers' Views on Reporting Alleged Offences by People with Intellectual Disabilities' (2006) 12(2) Psychology, Crime & Law 127.

[32] Committee 'General Comment No 4' para 65; Committee 'General Comment No 6' para 73(h); CRPD/C/DZA/CO/1, para 30-31; CRPD/C/BEL/CO/1, para 29; CRPD/C/BOL/CO/1, para 12; CRPD/C/BIH/CO/1, para31; CRPD/C/BRA/CO/1, para 33; CRPD/C/CHN/CO/1, para 91; CRPD/C/COK/CO/1, para 18(a); CRPD/C/CYP/CO/1, para 40; CRPD/C/CZE/CO/1, para 33; CRPD/C/DNK/CO/1, paras 15, 41 and 55; CRPD/C/ECU/CO/1, paras 15 and 37(c); CRPD/C/ETH/CO/1, para 36(b); CRPD/C/EU/CO/1, para 29; CRPD/C/GAB/CO/1, para 39; CRPD/C/DEU/CO/1, para 36; CRPD/C/GTM/CO/1, para 46; CRPD/C/HTI/CO/1, paras 9(c) and 31(b); CRPD/C/JOR/CO/1, paras 14(a-b) and 32(b); CRPD/C/LTU/CO/1, paras 33(b) and 35; CRPD/C/LUX/CO/1, para 11; CRPD/C/MEX/CO/1, para 20(b); CRPD/C/MNE/CO/1, paras 21(a) and 33(a); CRPD/C/MAR/CO/1, para 35(a); CRPD/C/OMN/CO/1, paras 32(b) and 60(c); CRPD/C/PRT/CO/1, para 23; CRPD/C/RUS/CO/1, para 35; CRPD/C/THA/CO/1, para 14; CRPD/C/TUN/CO/1, para 17(b); CRPD/C/TKM/CO/1, para 30(a); CRPD/C/UGA/CO/1, para 31(a); CRPD/C/ARE/CO/1, para 32(e).

[33] CRPD/C/ESP/CO/2-3, para 19.

გამოძიების ფარგლებში არსებული მასალები/დოკუმენტები, შეტყობინების ფორმები, მოწმეთა განცხადებები და სხვ. უნდა იყოს შშმ პირებისათვის მისაწვდომი. საგამოძიებო პროცედურები უნდა მოიცავდეს განმარტებას შშმ პირებისათვის, რა არის გამოკითხვა და დაკითხვა, შშმ პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ მართლმსაჯულების ეტაპების შესახებ და ჰყავდეთ საკონტაქტო პირი, რომელიც განახლებულ ინფორმაციას მუდმივად აწვდის. შშმ პირებს საჭიროა ჰყავდეთ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კომუნიკაციაში დამხმარე პირი, მათ შორის, ჟესტური ენის თარჯიმანი, ასევე, დამხმარე პირი სამართლებრივ პროცედურებში, რათა შშმ პირმა სრულად ისარგებლოს მისაწვდომი მართლმსაჯულების უფლებით.

## შეჯამება და რეკომენდაციები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა კომპლექსური და ფუნდამენტური საკითხია. მისაწვდომობის უზრუნველყოფა მოითხოვს მართლმსაჯულების სისტემის ფართო არატრადიციულ ხედვას და მისი შინაარსის არსებით გააზრებას თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში. ის, რაც საკმარისი იყო სისტემისთვის წარსულში, დღეს დისკრიმინაციის მყარი საფუძველი შეიძლება გახდეს გარკვეული ჯგუფებისთვის, რომლებიც უფლებების რეალიზებისთვის საჭიროებენ სახელმწიფოს აქტიურ მოქმედებას. ასეთ ჯგუფს განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც. იმისათვის, რომ ქვეყანაში თანაბრად მისაწვდომი იყოს მართლმსაჯულება, აუცილებელია გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა, შეფასდეს და შეიცვალოს პროცედურული ნორმები და წესები, მისაწვდომი და მრავალფეროვანი გახდეს კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემები და უზრუნველყოფილი იყოს პროფესიონალთა გუნდი, რათა მოქალაქეს, მისი საჭიროებების გათვალისწინებით მოემსახუროს, რათა აღსრულდეს მართლმსაჯულება.

ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ფუნდამენტური საკანონმდებლო და პროცედურული ცვლილებები, გაფართოვდეს და მრავალფეროვანი გახდეს სერვისები და მომსახურებები:

- სასამართლო, პოლიციის და იურიდიული დახმარების სამსახურების და სხვა ადმინისტრაციული შენობები სრულად აკმაყოფილებდნენ მისაწვდომობის სტანდარტებს ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე მოქალაქისთვის;
- გადაიხედოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია თავიდან იყოს აცილებული;
- სახელმწიფომ გააფართოოს პროფესიონალთა ჩამონათვალი, რომელთა მომზადება და მობილიზება შესაძლებელი იქნება იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში პროცესის მონაწილე შშმ პირს გაუწიონ კომუნიკაციაში მხარდაჭერა სახელმწიფოს ხარჯზე;
- სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული შენობები აღიჭურვოს ინფორმაციის გაცვლის ალტერნატიული მეთოდებით;
- საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას დაემატოს „პროცედურული მისადაგების“ მუხლი, რომლის გამოყენებაზე უარიც ჩაითვლება დისკრიმინაციად;

- აუცილებელია შემუშავდეს საჩივრების და განცხადებების ალტერნატიული ფორმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე;
- მართლმსაჯულების განმახორციელებელ ყველა დაწესებულებას (განსაკუთრებით სასამართლოს, საგამოძიებო ორგანოებს) უნდა ჰქონდეს პროცედურების წინასწარ შემუშავებული გამარტივებული სხვადასხვა ფორმა, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.